

# 24-საათიანი შარდი, შეგუწავებული

## ინფორმაცია პაციენტებისთვის


თქვენი ექიმი ხშირად ნიშნავს ლაბორატორიულ კვლევას, რომლისთვისაც საჭიროა შარდის შეგროვება 24 საათის განმავლობაში.

მნიშვნელოვანია, რომ შარდი სრულად შეგროვდეს 24 საათის განმავლობაში. ასევე მნიშვნელოვანია ზუსტად მიუთითოთ 24-საათიანი შარდის მოცულობა და შეგროვების პერიოდი. ამ ინფორმაციაზეა დამოკიდებული ლაბორატორიული ტესტის სიზუსტე!

ამ გზამკვლევში ვეცდებით აგიხსნათ: როგორ შეაგროვოთ შარდი, მონიშნოთ სინჯები და სწორად შეინახოთ გამოკვლევამდე.

### ლაბორატორიისგან დაგჭირდებათ:

- 24-საათიანი შარდის შესაგროვებელი კონტეინერი
- შარდის სინჯარა მასალის ასაღებად
- მჟავა, მაგ: მარილმჟავას ხსნარი



## როგორ ხდება 24-საათიანი შარდის შეგროვება?

### რა უნდა იცოდეთ:

- შეგროვების პერიოდში, მთელი დღის განმავლობაში უნდა დალიოთ დაახლოებით 1,5 – 2 ლიტრი სითხე;
- შარდის შეგროვებამდე ორი დღით ადრე და შეგროვების პერიოდში არ მიიღოთ შემდეგი საკვები პროდუქტები: ციტრუსები, ბადრიჯანი, ავოკადო, ნესვი, ქლიავი, თხილი და ბანანი. ასევე უნდა მოერიდოთ ყავას, შავ ჩაის, ალკოჰოლსა და ნიკოტინს;
- თქვენს მკურნალ ექიმთან შეათანხმეთ, რომელი მედიკამენტების მიღება ნებადართული შეგროვების დანწყებამდე და შეგროვების პერიოდში.

### როგორ აგროვებთ შარდს:

- შარდი გროვდება 24 საათის განმავლობაში, მაგალითად:
  - პირველ დღეს = დანყება, 8:00
  - მეორე დღეს = დასრულება, 8:00
- შარდი შეაგროვებთ სუფთა ჭურჭელში (რეკომენდებულია სპეციალური კონტეინერი, სინათლისგან დაცული, შარდის მოცულობის შესაფასებელი დანაყოფებით);
- შეგროვების პერიოდი იწყება დილით, გაღვიძების შემდეგ. შარდის ბუშტი ბოლომდე დაცალეთ (ტუალეტში). ეს შარდი არ გროვდება, მაგრამ ჩაინიშნეთ დრო (მაგ: 8:00); შეგროვების პერიოდის ათვლა აქედან იწყება;
- შარდის შესამჟავებლად ჩვენ ვიყენებთ 6 მოლ/ლ-იან მარილმჟავას (HCl);
- 24-საათიანი შარდის კონტეინერში ჩაასხით 10 მლ მარილმჟავა, შემდეგ დაიწყეთ შარდის შეგროვება. ყოველ 1000 მლ (1 ლ) შარდზე დაამატეთ 10 მლ მარილმჟავა (ჯამში 20-30 მლ);
- შარდის ყველა ულუფა შეაგროვებთ 24-საათიანი შარდის კონტეინერში, მეორე დღის დილის შარდის ჩათვლით. შეგროვების პერიოდი ამით მთავრდება. ამიტომ, გთხოვთ, მონიშნოთ ეს დროც (მაგ: 8:00);
- შეგროვების პროცესში შარდი შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2-8°C).

**ყურადღება:** სტაბილიზატორის ხსნარი (მარილმჟავა) კოროზიულია! მოერიდეთ ლორწოვან გარსებთან კონტაქტს. შეინახეთ ბავშვებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

## რა ხდება შეგროვების შემდეგ?

### 1. შარდის მოცულობის შეფასება


შარდის შესაგროვებელ კონტეინერს აქვს შკალა, რომელზეც შეგიძლიათ შარდის მოცულობის ნაკითხვა. **გთხოვთ, ჩაინიშნეთ 24-საათიანი შარდის მოცულობა, სიზუსტე მნიშვნელოვანია!**

### 2. შეგროვებული შარდი გადაურიეთ

შარდის შესაგროვებელი კონტეინერი ნაზად, მაგრამ გულდასმით გადაურიეთ. თუ ერთზე მეტი შარდის შესაგროვებელი კონტეინერი გამოიყენეთ, მაშინ, ჯერ ყველა კონტეინერის შიგთავსი ერთ დიდ, სუფთა ჭურჭელში გააერთიანეთ და შემდეგ გადაურიეთ.

### 3. სინჯის აღება

შეგროვებული შარდი ამოიღეთ სპეციალური სინჯარით (მაგ: შარდის მონოვეტი, 10 მლ). შარდის სინჯარას მოხსენით თავსახური და მიამაგრეთ „წვერი“. შარდის სინჯარა წვერით ჩაყავით შარდის შესაგროვებელ კონტეინერში და შარდით ბოლომდე შეავსეთ (10 მლ). მოატეხეთ დგუში, მოხსენით წვერი და მჭიდროდ დაახურეთ თავსახური.



### 4. სინჯის იდენტიფიკაცია

სინჯარას დაანერეთ თქვენი სახელი, გვარი და ლაბორატორიაში მიტანამდე შეინახეთ გრილ ადგილას ან მაცივარში (2-8°C).

### გასათვალისწინებელია:

- ყველა შარდი უნდა შეგროვდეს გამონაკლისის გარეშე - თუნდაც ნაწლავთა მოქმედების დროს;
- შარდის შესაგროვებელი კონტეინერი შეინახეთ შექცევის-დაგვარად გრილ ადგილას;
- თუ შარდის რომელიმე ულუფა გამოტოვებულია შეგროვების პერიოდში, შეგროვება ხელახლა უნდა დაიწყოს სხვა დროს.